

## კვლევის რეფლექსია

აღსანიშნავია, რომ მოსწავლის მიერ მათემატიკური ამოცანის დამოუკიდებლად ამოხსნა, ნიშნავს, არა მხოლოდ კონკრეტული ცოდნის ფლობასა და გამოყენებას, არამედ ხელს უწყობს, მისი ადეკვატური თვითშეფასების ჩამოყალიბებას. საკუთარი სუსტი და ძლერი მხარეების გაცნობიერებას, თვითეფექტიანობის გრძნობის განვითარებას, ეს ყველაფერი კი აუცილებელი წინაპირობებია წარმატებული და რეალიზებული პიროვნების ჩამოსაყალიბებლად. ხანის აკადემიის რესურსებით ჩატარებული კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა ისტ-ის გამოყენების ეფექტურობა შერეულ სასწავლო პროცესში, საკუთარი საჭიროებებით, საკუთარი ტემპებითა და მწვრთნელის მუდმივი მეთვალყურეობით მოულოდნელი ძვრები დაფიქსირდა, მოსწავლეებს აუმაღლდათ თვითშეფასება, მათემატიკა თანდაყოლილ, თუ თანდაუყოლებელ ნიჭად აღარ აღიქმება მათთვის. „მე ეს შევძელი“-საკმაოდ მნიშვნელოვანი რეფლექსიაა იმ მოსწავლისგან, რომელიც არ ელოდა თავად. განსაკუთრებით აღსანიშნავია მუდმივი მონიტორინგის , შედეგების ანალიზის ინსტრუმენტები, რომელსაც ხანის აკადემია გვაწვდის. (დანართი1) მისი გამოყენებით უდავოა მოსწავლის პროგრესი.

იმისათვის, რომ მოსწავლემ ახალი ცოდნა გაითავისოს, ანუ პიაჟეს სიტყვებით რომ ვთქვათ, ახალი კოგნიტური სქემების გამოყენება შეძლოს, საჭიროა ასიმილაციის პროცესის განხორციელება, ამ მასალის მრავალმხრივი გამოყენება. შესაბამისდ საჭიროა ფორმებისა და მიდგომების სწორად შერჩევა და სწავლების პროცესის წარმატება ჩვენს ხელთაა.

კვლევამ დამანახა, რომ დაბალი მოტივაციის ერთ-ერთი მიზეზი ინდივიდუალური მიდგომების ნაკლებობაა.